ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

01 ოქტომბერი 2018 წელი

დადგენილება N39

56-00
9 აპრილის ქუჩა #15

დ.ხარაგაული

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 აგვისტოს N34 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე I კლასს დაქვემდებარებულ შენობა-ნაგებობათა სახეობების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განთავსება/მშენებლობა შესაძლებელია მშენებლობის ნებართვით და მშენებლობის ნებართვის გარეშე“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე - 20 მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შეტანილი იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 აგვისტოს N34 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე I კლასს დაქვემდებარებულ შენობა-ნაგებობათა სახეობების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განთავსება/მშენებლობა შესაძლებელია მშენებლობის ნებართვით და მშენებლობის ნებართვის გარეშე“ (**საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, 20/08/2018 , სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.128.016349)**

1. **შეტანილი იქნეს ცვლილება დადგენილების მე - 3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:**

„ა“ საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ღერძიდან 100 მეტრში ორივე მხარეს I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობის ასაშენებლად (გარდა იმ შენობა-ნაგებობისა, რომელთა მშენებლობა გათვალისწინებულია სახელმწიფო ან/და ადგილობრივი ბიუჯეტიდან და I კლასს დაქვემდებარებული ხაზობრივი ნაგებობების, კერძოდ: IV და V კატეგორიის ელექტრო გადამცემი ხაზების მშენებლობისა) „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის 22 - ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით სავალდებულოა მშენებლობის ნებართვა, რომელიც გაიცემა II კლასის მშენებლობისათვის დადგენილი წესით“.

„ბ“ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ და საკურორტო ზონებში „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35 - ე მუხლით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით სავალდებულოა მშენებლობის ნებართვა, რომელიც გაიცემა II კლასის მშენებლობისათვის დადგენილი წესით”.

2 შეტანილი იქნეს ცვლილება დადგენილების მე - 3 მუხლის მე - 2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„ა“ მიწის ნაკვეთის საკუთრების ან/და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; საჭიროების

შემთხვევაში მიწის ნაკვეთის ან/და არსებული საინჟინრო-საკომუნიკაციო ნაგებო(ბე)ბის მესაკუთრეთა ან/და ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის თანხმობა, საზოგადოებრივი სივრცის გამოყენების შემთხვევაში ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანხმობა ხოლო საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე , გზისპირა ზონებში მშენებლობისა და სხვა სახის სამუშაოების წარმოების დასაწყებად საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თანხმობა.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე